

//ჰპასუხობს, უსაყვედურებს//საყვედურობს, უკარნახებს//ჰკარნახობს, უპატაკებს//ჰპატაკობს და პასუხობს, საყვედურობს, კარნახობს, პატაკობს ზ მ ნ ე ბ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ქ ო ნ ე ბ ა უ ქ ო ნ ლ ო ბ ი თ უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ი ა ნ . ი რ ი ბ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პ ი რ ი ს ქ ო ნ ე ბ ა უ ქ ო ნ ლ ო ბ ა ს ო რ ი ვ ე შ ე მ ი თ ზ ვ ე ვ ა შ ი ზ მ ნ ის ფ უ ძ ი ს ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა განსაზღვრავს.

**პასუხობს** ფორმის გამოყენება შესაძლებლად მიაჩნია გ. შალამბერიძესაც ამგვარ წინადადებაში: „ყველა პასუხი როდი პასუხობს“. მისი აზრით, ეს წინადადება ასე უნდა გავიგოთ: „ყველა პასუხი პასუხად როდი გამოდგება“<sup>51</sup>.

**პასუხი პასუხობს** სპეციფიკური შესიტყვებაა. შდრ.: **ერი ერობს, გული გულობს, ვაჟი ვაჟობს, ქალი ქალობს** (მაგ.: „აღრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟაბდის, ქალი ქალაბდის“ **ილია**. ამ შესიტყვებათა ზმნას განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია — ფუძემოწარმოდგენილი სახელის ნიშან-თვისებათა ჩვენება. ამ მნიშვნელობით ზმნა, რომელიც მინიმალურად განსხვავდება სახელისაგან, მხოლოდ მესამე პირის ფორმით იხმარება. ეს **პასუხობს** ზმნის ერთპირიანად გამოყენების ერთი კერძო შემთხვევაა.

განვიხილოთ **უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს** და მათი მოცილე **ჰპასუხობს, საყვედურობს, ჰკარნახობს, ჰპატაკობს** ზმნური ფორმები.

### **უპასუხებს//ჰპასუხობს**

**ქეგლ**-ის მიხედვით **უპასუხებს** ნიშნავს: **1.** კითხვაზე პასუხს აძლევს, — მიუგებს. ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად შესიტყვებას **გაკვეთილს უპასუხებს** (გაკვეთილს უყვება, უამბობს). **2.** რისამე მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოამჟღავნებს, გამოეხმაურება, საპასუხოდ რაიმე მოიმოქმედებს. **3.** შეეფერება, შეესაბამება, შეესატყვისება, აკმაყოფილებს (ქეგლ). ბოლო, მე-3 მნიშვნელობით ზმნას ზოგადი აწმყოს გაგება აქვს და მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში გვხვდება.

საილუსტრაციო მასალას ამ მნიშვნელობათა მიხედვით მოვიყვანოთ. მაგალითად:

**უ პ ა ს უ ხ ე ბ ს**

**1.** — როგორ ბრძანდებით, კნიაჟნა? — ეკითხება ბონდო აღზნებული.

— კარგად, მხოლოდ უძილობა მაწუხებს! — **უ პ ა ს უ ხ ე ბ ს** კნიაჟნა კაპრიზითა (დ. შენგ.).

... ელექტრა ორესტს ეუბნება: „ძვირფასო ძმაო, ... გინდა ზეზე წამოდგომა-

<sup>51</sup> გ. შალამბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

ვიშველო?“ ხოლო ორესტი უპასუხებს: „ჰო, მიშველე. ამიყენე“ (ა. ქიქ. თარგმ.).

ლალი ფრინველი ეუბნება: „ჩემო ძვირფასო, მიმღერე სიმღერა ტყეთა“. გალიის წიტი უპასუხებს: „ჩამოვქვ გვერდით, გასწავლი სწავლულთა ენას“ (ლ. დოლოზ. თარგმ.).

— საით მიიჩქარი დილაადრიან? — ეკითხები ბიჭუნას.

— სკოლისაკენ! — მიპასუხებს სხარტად („თბილ.“).

არ არის კარგი, უკმეხ ენით რომ მიპასუხებ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

აი დღეს, როცა ამ შეკითხვაზე გიპასუხებთ, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ვ. ჩხიკვაძე ბაიკალ-ამურზეა („თბილ.“). [იგი] დაბნეული აცეცებს აქეთ-იქით ფართო თვალებს, შეკითხვებს ირიბად უპასუხებს („თბილ.“). ... მოთხრობის ახალგაზრდა გმირი თითქოს ხმადაღწია... აყენებს კითხვას და თვითონვე უპასუხებს ამომწურავად („კომ.“). გაკვეთილზე კი სამივე ყურადღებით არის და ხალისით უპასუხებს მასწავლებელ რატიანის კითხვებს („კომ.“).

რედაქციას უპასუხებს პარტიის ქობულეთის რაიკომი („კომ.“). რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო („კომ.“). რედაქციას უპასუხებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი („კომ.“). „კომუნისტს“ უპასუხებს საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომი („კომ.“). ჩვენს მკითხველებს უპასუხებს საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ა. ზედამიძე („თბილ.“).

2. ისიც თანდათანობით ფრთას ასხამდა ჩემს ოცნებას... ზრდით უპასუხებდა ჩემს მუღმივ ზრუნვას („სოფლ. ცხოვრ.“). სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლას აღამიანები უპასუხებენ თავდადებული შრომით („სოფლ. ცხოვრ.“). მეცნიერები საქმით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას („თბილ.“; სათ.). პარტიის მოწოდებას საქმით ვუპასუხებთ („კომ.“; სათ.). ფაშისტები განწირულები იყვნენ, მაგრამ მაინც შხამს ანთხედდნენ, ბატარეას სროლითვე უპასუხებდნენ („თბილ.“). დანარჩენი ქურდები ხეებს ეფარნენ და გორგას სროლით უპასუხეს... გორგა სროლაზე სროლითვე უპასუხებდა („ცისკარი“).

3. ქარხნის პროდუქციის ხარისხი დაბალია, ვერ უპასუხებს სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმების მოთხოვნებს („თბილ.“). დედაენისა და ლიტერატურის სწავლების დონე ნამდვილად ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნილებებს („ლიტ. საქ.“). რაც აშენდა, ... ოდნავადაც ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს („ლიტ. საქ.“). ტიპური სახლებიც უნდა უპასუხებდეს ელემენტარულ მოთხოვნილებებს („ლიტ. საქ.“). „გაკვასიური ცარცის წრე“ დიდი მასშტაბის სექტაკლია, რომელიც მაღალი ხელოვნების თითქმის ყველა მოთხოვნილებას მაღალმხატვრული პოზიციებიდან უპასუხებს („კომ.“). ... გარეგნული გაფორმება არ უპასუხებდა სტანდარტის მოთხოვნებს („თბილ.“). უპასუხებდეს ცხოვრების რიტმს („თბილ.“; სათ.). ტემპი ამოცანებს რომ უპასუხებდეს („სოფლ. ცხოვრ.“; სათ.).

## უპასუხობს

1. — არსენ, გამარჯობა! — ეუბნება იმის ზედამხედველი ჩემსას.

— გავიმარჯოს! — უპასუხობს ჩემი (ნ. დუმბ.).

„ვითომ დალაგდება ცხოვრება? — გულგრილად ჰკითხულობს მდინარე. „რა ვიცი!“ — უპასუხობენ ტყეები (მ. ლებან.).

— ავე დედაშენი! — მეუბნება კოლა.

— ეიცი, — ეპასუხო ბ. ისეთი სახით, თითქოს არაფრად ვაგდებ, დედა რომ შეძებს (თ. ჭილ.).

ვიცეკვო? ვეკითხები ჩემად და ვიღიმები, თითქოს რაღაც არჩევულებრივს ვამბობდე, ვიღეკვოთ, — მპასუხო ბ. ის, თ. ვიცეკვოთ (თ. ჭილ.).

— თენგიზ, შენ უკეთესი მხატვარი ხარ, თუ ვია?

— ჩემთან სად მოვა ვე! — მპასუხო ბ. თენგიზ მირზაშვილი („ციხკარი“).

— რატომ? — უაზროდ ვეკითხები. ვია მაინც ვპასუხო ბ. სურჟენი თვალში რომ შედის, ვენახში მიძინავს („ლიტ. საქ.“).

მასპინძელი მშვიდად, დალაგებით პასუხო ბ. და ჩემს კითხვებს („ციხკარი“). ... იგი სახელდახელო ლექციებს უკითხავს მშრომლებს, პასუხო ბ. მათ უამრავ შეკითხვებზე („ახ. კომ.“). მისაღებ გამოცდებზე ბავშვს ვეკითხები, რა იცის „სულთ ბოროტოს“ შესახებ და ვერაფერს მპასუხო ბ. („ლიტ. საქ.“).

გვპასუხო ბ. საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის მდივანი („ლიტ. საქ.“). გვპასუხო ბ. ენ სომხეთის მწერალთა კავშირის მდივნები („ლიტ. საქ.“).

2. შენ სიხარულით პასუხო ბ. დი ამ ძახილს, მაგრამ პასუხო ბ. დი ოცნებაში წარმოსახული კაცის სიხარულით (თ. თარხნ, თარგმ.). ყვითელი ჩიტი გალობს მათ ტყეში და ჩემი გული მას პასუხო ბ. საამო თრთოლვით (ლ. ლოლოზ, თარგმ.). ... ძალიან მიხაროდა, როცა ვხედავდი, თუ როგორი სინაზით პასუხო ბ. ბლანში ქმრის სიყვარულს (ანდ. ქვიშვ, თარგმ.). ახალგაზრდობა კი საქმით პასუხო ბ. ამ დიდ ზრუნვას („ვანთ.“, ვანი). ამ დიდ ნდობას ქართველი ხალხი პასუხო ბ. ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით („ლელო“). თბილისის საწარმოთა მშრომლები მათ წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს პასუხო ბ. მალაღი შემართებით („საქ. ქალი“).

3. .. ორგანიზაციების მუშაობის დღევანდელი დონე ჯერ კიდევ ვერ პასუხო ბ. იმ ამოცანებს, რასაც მათ წინაშე აყენებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური და თბილისის საქალაქო კომიტეტები („თბილ.“). ახალგაზრდა სპეციალისტთა საქმიანობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში უნდა პასუხო ბ. დეს დღევანდელ მოთხოვნებს („თბილ.“). ოციან წლებში ფსიქოლოგები და ფსიქიატრები გამალებით სწავლობდნენ ადამიანთა ტიპოლოგიას. მაშინ თქვეს სწორედ, რომ ყოველი სხეულის ტიპს, სერთოდ, პასუხო ბ. თავისივე ტიპის ნერვული წყობა („ახ. კომ.“). თანამედროვე ტრანსპორტის რეგულირების პირობებს თბილისის თითო-ოროლა ქუჩა... თუ პასუხო ბ. („ახ. კომ.“). აღებული ნიმუშები უნდა იყოს ტიპიური და პასუხო ბ. დეს კვლევით პროგრამას („იხვ სკოლაში“).

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, უპასუხებს//პასუხო ბ. ზმნები ერთსა და იმავე კონსტრუქციის წინადადებებში გვხვდება და ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

კითხვაზე, რაიმე მოქმედებაზე პასუხს აძლევს (გარკვეული შინაარსობრივი ნიუანსების გამო განაწილებული 1 და 2 პუნქტებში) ძირითადი მნიშვნელობაა უპასუხებს ზმნისთვის. მე-3 მნიშვნელობით უპასუხებს ზმნა კონტექსტში აკმაყოფილებს, შეესაბამება, შეესატყვისება, შეეფერება ზმნათა შინაარსობრივი ეკვივალენტია და მისი (უპასუხებს ზმნის) შეცვლა ამ ზმნებით ყოველთვის დაუბრკოლებლად

შეიძლება (და არა მარტო შეიძლება, ხშირად ასეთი შეცვლა სტილის-ტიკური თვალსაზრისით სასურველიც კი არის).

ამრიგად, **პასუხს აძლევს, აკმაყოფილებს მნიშვნელობებით უპასუხებს** და **ჰპასუხობს** ფორმები ერთმანეთის მოცილე პარალელური ფორმებია. პარალელური წარმოება გვაქვს აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში — ნამყო უსრულსა და აწმყოს კავშირებითში: აწმყო — **უპასუხებს//ჰპასუხობს**; ნამყო უსრ. — **უპასუხებდა//ჰპასუხობდა**; აწმყო კავშირებითი — **უპასუხებდეს//ჰპასუხობდეს**. ოღონდ პარალელურ ფორმათაგან პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში, განსაკუთრებით კი საგაზეთო სათაურებსა და რუბრიკებში, **უპასუხებს** ფორმა ჭარბობს. ამ თვალსაზრისით სხვა განთებებისაგან დიდად გამოირჩევა „კომუნისტი“, „თბილისი“ და „სოფლის ცხოვრება“, რომლებიც სალიტერატურო **უპასუხებს** ფორმის გამოყენებას უჭერენ მხარს. ბოლო დროს გამოქვეყნებული მხატვრული ლიტერატურისა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ენაში კი უპირატესობა **ჰპასუხობს** ფორმას ენიჭება.

მყოფადსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში — I ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში — **უპასუხებს, უპასუხებდა, უპასუხებდეს**, ე. ი. აწმყოს წყების **უპასუხებს** ფორმათა საზიარო ფორმები გვაქვს (როგორც უკვე ითქვა, **უპასუხებს//ჰპასუხობს** ზმნა მე-3 მნიშვნელობით, — ეს კი **შეიფერება, შეესაბამება, შეესატყვისება, აკმაყოფილებს** ზმნათა მნიშვნელობაა, — მხოლოდ აწმყოს წყებაში გვხვდება. დრო-კილოთა სხვა ფორმები მას არ მოეპოვება).

მოვიყვანთ **უპასუხებს** ზმნის მყოფადში გამოყენების ნიმუშებს:

— დედა, გვიამბე რა, მამაზე!.. ის ხომ ჭარისკაცი იყო...

— რა გვიამბოთ, შეილებო, — უპასუხებდა დედა და თვალზე მომდგარ კურცხალს მოიწმენდა თავსაფრის ბოლოთი („კომ.“).

— გირჩევნია გაკვეთილების შემდეგ უპასუხო, მასწავლებელთან მარტო რომ დარჩები, მაშინ არ დაიბნევი! — ვანუგეშებდი მეგობარს. — დაფასთან გასვლაც არაა საჭირო, პირდაპირ ადგილიდან უპასუხებ (თ. ლვინ. თარგმ.).

— რით იქნება წლევეანდელი წელიწადი აღსანიშნავი „ციცკრისათვის“ და როგორ უპასუხებს მას ახალგაზრდობის საყვარელი ჟურნალი? („თბილ.“). ვიდრე ამ შეკითხვაზე უშუალოდ გიპასუხებდეთ, უმჯობესია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის პრაქტიკა, რომელიც ადრე გავრცელებული იყო თბილისში („თბილ.“). როცა ვკითხავდით, თავს როგორ გრძნობ, ხომ არაფერი გინდაო, ან დაცივით გვიპასუხებდა, ან ლანძღვა-გინებით (ანდ. ჭიშვი. თარგმ.).

ასე რომ, **უპასუხებს//ჰპასუხობს** აწმყოს წყების ერთი და იმავე ფუნქციის მქონე ფორმებს მყოფადის წყებისათვის **უპასუხებს** ფორმა აქვს.

**უპასუხებს** ზმნას მნიშვნელობით **გამოენმაურება** და **აკმაყოფი-**

ლებს (იხ. ზემოთ დასახელებული მე-2 და მე-3 მნიშვნ.) კონტექსტში ორი პირი შეეწყობა. ამ პირთა ფარდი სახელები, როგორც წესი, ან რეალურად არის წარმოდგენილი, ან კონტექსტით ივარაუდება. ერთი სუბიექტური პირი — ვინც ან რაც უპასუხებს, მეორე — ირიბ-ობიექტური პირი — რასაც უპასუხებენ (უპასუხებს მოთხოვნებს, მოწოდებას, ამოცანებს, დონეს, რიტმს...).

უპასუხებს ზმნას, როცა იგი სასწავლო პროცესში მონაწილეობას აღნიშნავს, პირდაპირი დამატებაც შეეწყობა. მაგ.: მოსწავლე მასწავლებელს გაკვეთილს, საშინაო დავალებას უპასუხებს. მნიშვნელობით პასუხს აძლევს უპასუხებს ზმნას სხვა შემთხვევაშიც შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი დამატება (ჩვეულებრივ, ნაცვალსახელები რაღაც, არაფერი, ვერაფერი), მთელი წინადადება პირდაპირი დამატების ფუნქციით (ჩვეულებრივ, პირდაპირი ან ირიბი ნათქვამი) ან კიდევ დამატებითი დამოკიდებული წინადადება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირდაპირი ობიექტის ქონება-უქონლობას ამ ტიპის ზმნათა ფორმაწარმოებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ზმნა ორი — სუბიექტური და ირიბობიექტური (როცა ირიბ ობიექტად კონტექსტში ადამიანის სახელია გამოყენებული) პირების მიხედვით იცვლება. შესაბამისად, აქვს როგორც სუბიექტური (ვუპასუხებ, უპასუხებ, უპასუხებს...), ასევე ობიექტური (მპასუხებს, გპასუხებს, უპასუხებს...) წყობის ფორმები. ჰპასუხობს, რომელიც უპასუხებს ზმნას ენაცვლება კონტექსტში, მისსავე სინტაქსურ კონსტრუქციას ირგებს და, რაც მთავარია, ფორმებსაც ისევე აწარმოებს, როგორც უპასუხებს ზმნა — სუბიექტური (ვპასუხობ, პასუხობ, პასუხობს...) და ობიექტური (მპასუხობს, გპასუხობს, ჰპასუხობს...) წყობით.

მნიშვნელობით გამოეხმაურება, საპასუხოდ რასმე მოიმოქმედებს, სუბიექტისა და ირიბი ობიექტის გარდა, უპასუხებს//ჰპასუხობს ზმნას მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელიც უკავშირდება, მაგ.: „ექიმი ამის შემდეგ საღამზე საღამით მპასუხობდა“ (რ. ინან.), „რაინის მშრომელები პარტიის მოწოდებას თავდადებული შრომით უპასუხებენ“ („სოფლ. ცხოვრ.“).

როცა კონტექსტით დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ივარაუდება, უპასუხებს//ჰპასუხობს ზმნას, სუბიექტისა და ირიბი ობიექტის გარდა (ე. ი. იმ პირის გარდა, ვისაც უპასუხებენ) -ზე თანდებულიან მიცემითში დასმული სახელიც ახლავს, ჩვეულებრივ, კითხვა, შეკითხვა. მაგ.: „საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი... უპასუხებს ჩვენს კორესპონდენტს შეკითხვებზე“ („სამშ.“).

უთანდებულო მიცემითში დასმული კითხვა, შეკითხვა ან მნიშვნელობით მათთან გათანაბრებული სახელები ირიბი ობიექტის ადგილს იჭერენ (მაგ.: „ბევრი ბურჟუაზიული მწერალი ამ კითხვას დადებითად უპასუხებს“. „ლიტ. საქ.“; „ამ კითხვას ემპედოკლე შემდეგნაირად უპასუხებს“. ს. წერ.), ჩოლო სახელი, რომელიც სხვა შემთხვევაში კონტექსტში შეიძლება ირიბი ობიექტი ყოფილიყო, მსახურელი სახელის ფუნქციით წარმოგიდგება. მაგ.: „ას-ის კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს... გრანატკინი („ახ. კომ.“). შდრ.: ას-ის კორესპონდენტს შეკითხვებზე უპასუხებს გრანატკინი.

ბუნებრივი კითხვას, შეკითხვას უპასუხებს კონსტრუქციის ნაცვლად სალიტერატურო ენაში, განსაკუთრებით კი პრესის ფურცლებზე, სათაურებსა და ქვესათაურებში, ფართოდ მოიკიდა ფეხი „სოფლის ცხოვრების“ შეკითხვაზე უპასუხებენ“ ტიპის შესიტყვებებმა. მაგ.:

როგორ ამზადებთ თესლს გაზაფხულისათვის? „სოფლის ცხოვრების“ ამ კითხვაზე უპასუხებენ რაიონების მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსები („სოფლ. ცხოვრ.“). უპასუხებენ „სოფლის ცხოვრების“ სამ შეკითხვაზე („სოფლ. ცხოვრ.“). მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებს... ლ. ოქუნჯოვი („თბილ.“).

„სოფლის ცხოვრების“ კითხვაზე უპასუხებს, მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებს არამართებული სინტაქსური კონსტრუქციებია. უნდა ყოფილიყო: „სოფლის ცხოვრების“ კითხვას უპასუხებს, მკითხველთა შეკითხვებს უპასუხებს (შდრ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი: „ას-ის კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს... გრანატკინი“). ასევე უნდა იყოს უპასუხეთ კითხვებს (და არა: კითხვებზე), რადგან უფორმანტი, რომელსაც ირიბობიექტური პირის გავება შემოაქვს ზმნაში, კონტექსტში ამ პირის ფარდ სახელს ითხოვს ირიბი დამატების სახით.

ეგვევ საკითხი დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებთანაც ისმის. არ შეიძლება მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებია. უნდა იყოს ან მკითხველებისთვის შეკითხვებზე უპასუხებია, რომლისთვისაც ამოსავალი კონსტრუქციაა მკითხველებს (ირ. ობიექტი) შეკითხვებზე უპასუხებს, ანდა — მკითხველთა შეკითხვებისთვის უპასუხებია, რომლისთვისაც ამოსავალი კონსტრუქციაა მკითხველთა შეკითხვებს (ირ. ობიექტი) უპასუხებს.

უპასუხებს//პასუხობს მკითხველთა შეკითხვებზე კონსტრუქციის გავრცელების მიზეზი რუსული კონსტრუქცია отвечает на вопросы უნდა იყოს. გამორიცხული არ არის აგრეთვე აღწერითი პასუხს იძლე-

ვა შეკითხვებზე და ერთპირიანი პასუხობს (გაღიზიანებაზე) ზმნის გავლენაც.

Ответы на вопросы-ს გავლენის შედეგია ბოლო დროს გავრცელებული კითხვებზე პასუხი მოსალოდნელი კითხვების პასუხის ნაცვლად (შდრ.: „როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!“ ილია; „ევროპულ მეცნიერებაში ამოდ ვეძებდი იმ კითხვების პასუხს, რომლებიც მქენჯნიდნენ“. გ. ქიქ.).

პასუხობს ზმნას, როგორც ზემოთ ითქვა, ისეთი მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს, როცა მასთან ირიბობიექტური პირი არ ივარაუდება. ზმნას ამ დროს პასუხს იძლევა შესიტყვების მნიშვნელობა აქვს (შდრ. უპასუხებს//პასუხობს, რომელიც პასუხს იძლევის, მიუგებს მნიშვნელობით იხმარება). პასუხს იძლევა შეიძლება ვაგიგოთ როგორც პირდაპირი (მაგ.: კითხვაზე პასუხს იძლევა), ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც: გარკვეულ სიტუაციაში გარკვეული წესის მიხედვით მოქმედებს, — რეაგირებს, იქცევა. ერთპირიან პასუხობს ზმნას კონტექსტის მიხედვით სწორედ ეს ფორმები — პასუხს იძლევა, რეაგირებს, იქცევა — შეიძლება ჩაუვნიაცვლოთ.

მაგალითად:

С-რეაქციის დროს გამოსაკვლევი პირი გაღიზიანებისას პასუხობს მხოლოდ წითელ სინათლეზე („საბჭ. მედიც.“). ზოგიერთ ბავშვს თითქოს ეძინება, დუნედ პასუხობს, ხელიდან უფარდება ყველაფერი („საქ. ქალი“). ქალები ასე პასუხობენ მზრუნველობასა და ყურადღებაზე და ამას სიყვარულს არქმევენ (ანდ. ჭეიშვ. თარგმ.). ოპერაციის მესამე დღეს ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა... ავადმყოფს აბოდეებს, შეკითხვებზე პასუხობს არაადეკვატურად („საბჭ. მედიც.“). მეშინია... მეშინია, ვაი, თუ ჩემი აზრი სხვისას არ დამთხვებს, საერთო აზრისაგან გამოცალკევდეს... ვ პასუხობ ხოლმე ორპოლულად, უკან დასაბეგ გზას ვიტოვებ (ედ. ყიფ.). დაფასთან რომ გაიძახებენ, ხმას ვერ იღებს. წარმოგიდგენიათ? ვერ პასუხობს (თ. ღვინ. თარგმ.) განსაკუთრებით კარგად პასუხობდა მოსწავლე ქ. გოგელია („სახ. გან.“) — თქვენი აბონენტი არ პასუხობს, — უთხრა მან (თ. ღვინ. თარგმ.).

ზმნის ერთპირიანობა ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ექვს არ უნდა იწვევდეს.

მსგავსი კონსტრუქციის წინადადებებში შეგვხვდა უპასუხებს ფორმაც.

მაგალითად:

მცირეოდენი დამწვრობისას ბავშვი მკვეთრად უპასუხებს ტკივილზე ტირილით („კომ.“). ასეთ შემთხვევაში ბავშვი საერთოდ უარს ამბობს სკოლაში სიარულზე ან ხშირად აცდენს მას. თუ გაკვეთილს დაესწრო, მაინც არ მონაწილეობს.

სასწავლო პროცესში, არ უპასუხებს, არ ამზადებს საშინაო დავალებებს („სოფლ. ცხოვრ.“). დაუჭრებელია, მაგრამ ფაქტია — ტვინზე მიაქვთ უშუალო ზეგავლენა, ადამიანი კი ლაპარაკობს, უპასუხებს კითხვებზე, იღიმება („კომ.“). ისინი [მოსწავლეები] ხომ მარტივ კითხვებზეც ვერ უპასუხებენ, არ შეუძლიათ ისაუბრონ თავის სოფელზე, სკოლაზე („სოფლ. ცხოვრ.“). იგი დათრგუნული ჩანდა, ღელავდა, დაკითხვებზე აკანკალებული ხმით უპასუხებდა („თბილ.“). ... ტელეფონი განუწყვეტლივ რეკავდა, მაგრამ არავინ უპასუხებდა („საქ. ქალი“). — ცეცხლი! — შესძახა კიდევ ერთხელ მეთაურმა და უცებ კავშირი გაწყდა, რადისტი არ უპასუხებდა („თბილ.“).

ეს შეგნებული ჩარევის შედეგია — ყველა შემთხვევაში პასუხობს არასალიტერატუროდ მიჩნეული ფორმის ნაცვლად უპასუხებს სალიტერატურო ფორმა ვიხმაროთ.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში უპასუხებს ფორმა ერთპირიანი პასუხობს ფორმით უნდა შეიცვალოს, სახელდობრ, ასე: მცირეოდენი დამწვრობისას ბავშვი მკვეთრად პასუხობს ტკივილზე ტირილით; ... ბავშვი არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში, არ პასუხობს, არ ამზადებს საშინაო დავალებებს; ადამიანი კი ლაპარაკობს, პასუხობს კითხვებზე, იღიმება<sup>52</sup>; ისინი მარტივ კითხვებზეც ვერ პასუხობენ, არ შეუძლიათ ისაუბრონ თავის სოფელზე, თავის სკოლაზე; იგი დათრგუნული ჩანდა, ღელავდა, დაკითხვებზე აკანკალებული ხმით პასუხობდა; ტელეფონი ... რეკავდა, მაგრამ არავინ პასუხობდა; ... კავშირი შეწყდა, რადისტი არ პასუხობდა.

მართალია, პასუხს ყოველთვის ვიღაცას აძლევენ, მაგრამ ხშირად, დიალოგის დროსაც კი, საჭირო არ არის იმ პირის დასახელება, ვისაც უპასუხებენ, ვისი შინამართითაც რაღაც ითქმის. კონტექსტით არც მთლად უმისამართო, მაგრამ მაინც ზოგადად, საერთოდ ნათქვამი პასუხი ივარაუდება<sup>53</sup>. ამ დროს, ჩვეულებრივ, ირიბობიექტური მი-

<sup>52</sup> აქ ყურადღებას იქცევს საერთო სიტუაცია: ავადმყოფი, რომელიც ექიმების გარემოცვაშია, კი არ ელაპარაკება ვისმე, არამედ ლაპარაკობს; კი არ უღიმის ვისმე, არამედ იღიმება. ე. ი. ირიბობიექტური მიმართებისაგან თავისუფალი ფორმები გვაქვს. ამ საერთო გარემოს კი სწორედ პასუხობს (ე. ი. პასუხს იძლევა) კითხვებზე შეფუცრება და არა უპასუხებს (ე. ი. ვისმე პასუხს აძლევს) კითხვებზე.

<sup>53</sup> რამდენადაც პასუხობს და პასუხობს ფორმობრივად ერთმანეთისაგან მკვეთრად არ არის გამოიჯნული, მათი გამოყენება კონტექსტში შეიძლება ორპირიანობას იწვევდეს, კერძოდ, ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში. იმის საილუსტრაციოდ, რომ დიალოგის დროსაც კი სავსებით შესაძლებელია ზმნური ფორმის ირიბობიექტური პირისაგან განყენებულად წარმოდგენა, მოვიყვანოთ თქვა ზმნის გამოყენების ერთ შემთხვევას აკაკი წერეთლის „გამზრდელიდან“. თქვა ისევე უპირისპირდება უთხრა'ს, როგორც პასუხობს ფორმა პასუხობს ფორმას, სახელდობრ, ირიბობიექტური პირის უქონლობით. ამასთან, ფორმობრივი სხვაობა მათ შორის, სავსებით ნათელია. მაგ.: პაჭი-უსუბი 'საფარ-ბეგს ეკითხება: „მერე? მერე? რომ გაიგო, რა თქვა ქმარ-



მართებისაგან თავისუფალი ზმნური გარემოცვა გვაქვს — წინა წინადადებაში არის **კითხულობს** და არა **ეკითხება**, **ამბობს** და არა **ეუბნება**, **იძახის** და არა **ეძახის**. ასეთ პირობებში **პასუხობს** ერთპირიანი ზმნის გამოყენება სავსებით ბუნებრივია.

მაგალითად:

პრეგო ჩემს გვერდით ჯდება და **ამბობს**:

— სწორედ საოცარი, რომ ცოცხლები ვართ... არ ვპასუხობ, არავითარ სიხარულს არ ვგრძნობ (**თ. თარხნ. თარგმ.**).

„ვინ არის?“ — **კითხულობს** ქალი. „ციხე“, — ინერციით **პასუხობს** ხუთა („**ახ. კომ.**“).

— ააუუ! — ისევ იძახდა ანული და ისევ ატრიალებდა თავსახვევს პაერში.

— ააუუ! — კვლავ **პასუხობდნენ** მთები (**რ. ინან.**).

ორივე ხალხისთ **პასუხობდა**, ვიდრე საკითხი ტყეშელაიძის ბინის გაქურდვას ეხებოდა („**საბჭ. სამართ.**“).

ამ გაგებით მართებული არ არის **უპასუხებს** ზმნური ფორმის გამოყენება შემდეგ წინადადებაში: „ვისთვისაა სარფიანი ეს კურსი?<sup>54</sup> — **კითხულობს** ყოველკვირეული და თვითონვე **უპასუხებს**: — იმათთვის, ვინც ამით მილიონებს იგებს“ („**სოფლ. ცხოვრ.**“).

**კითხულობს** კონკრეტულად ვინმეს მიმართ დასმული კითხვა არ არის (წინააღმდეგ შემთხვევაში **ეკითხება** იქნებოდა), ის საერთოდ, ზოგადად დასმული კითხვაა: პასუხიც ასევე ზოგადი და უმისამართო ივარაუდება: ... **კითხულობს** ყოველკვირეული და თვითონვე **პასუხობს** (ე. ი. პასუხს იძლევა). რომ გვეჩონოდა **კითხვას სვამს ყოველკვირეული**, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა სწორედ **უპასუხებს** ზმნა, როგორც კითხვის პასუხი — **კითხვას უპასუხებს**.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით **პასუხობს** ზმნას შინაარსობრივად პირდაპირი ან ირიბი ნათქვამი უკავშირდება პირდაპირი დამატების ფუნქციით. როგორც ზევით ითქვა, ასეთი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქცია დამახასიათებელია „მეტყველება წრის“ ზმნებისათვის საერთოდ და, კერძოდ, **პასუხობს** ზმნისთვის. ზომ არ ნიშნავს ეს, რომ **პასუხობს** ზმნა ორპირიანია და, შესაბამისად, გარდამავა-

---

მა?“ საფარ-ბევი უპასუხებს: „— მაპატია შეცოდება როგორც ძმამ და მეგობარმა!“  
**თქვა** ამ წინადადებაში სავსებით ბუნებრივად არის გამოყენებული, თუმცა ის, რაც ქმარმა **თქვა**, **საფარ-ბევისთვის თქვა**, **საფარ-ბეგს უთხრა** და, ამდენად, არც ის იქნებოდა მოულოდნელი, **თქვას** ნაცვლად რომ გითხრა ფორმა ყოფილიყო (ამას საპასუხოდ ნათქვამი **მაპატია** ფორმაც ადასტურებს). მაგრამ ამით, თითქოს, ლოგიკური მახვილი სუბიექტიდან ირიბ ობიექტზე გადავიდოდა და ბათუს ნაცვლად ყურადღების ცენტრში საფარ-ბევი მოექცეოდა.

<sup>54</sup> აჯობებდა: ვის აძლევს ხელს ეს კურსი?

ლიც. ასეთი კითხვის დასმა უსაფუძვლო არ არის (ეს კითხვა თანაბრად ეხება **საყვედურობს, კარნახობს, პატაკობს** ფორმებსაც).

ამ ტიპის, სახელდობრ, სტატიკური, ანუ საშუალი გვარის ზმნათა პირიანობისა და გარდამავლობის საკითხს სპეციალურად, თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, არაერთი მკვლევარი შეხებია. ერთი შეხედულების მიხედვით: „ზოგი ზმნა გარდაუვალადაც იხმარება და გარდამავალადაც“<sup>55</sup>. მაგ.: **თამაშობს, ლაპარაკობს, ოცნებობს, ფიქრობს** და სხვ. (იქვე გარდამავალ ზმნებად არის დასახელებული **ანგარიშობს, ქირაობს, თაქილობს** ზმნები); საშუალი ზმნების ერთ ჯგუფს „კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთპირიანი, ასევე ორპირიანი ფორმების გაგება“<sup>56</sup>. ეს ზმნები „კონსტრუქციიდან განწყენებულად არ შეიძლება ჩაითვალოს არც გარდამავლებად და არც გარდაუვალებად; იმის მიხედვით, დასტურდება თუ არა კონსტრუქციაში პირდაპირი დამატება, თითოეული მათგანი შეიძლება იყოს გარდამავალიცა (ე. ი. ჰქონდეს მოქმედებითის ფუნქცია) და გარდაუვალიც (საშუალი ფორმის ფუნქცია)“<sup>57</sup>. მაგ.: **ფიქრობს, თამაშობს**.

სხვა შეხედულების თანახმად: „შეიძლება წინადადებაში ორი სახელი უკავშირდებოდეს შინაარსით ზმნას (თან ისეთ ბრუნვაში იყოს დასმული, რომ პირის ნიშანი შეეფერებოდეს), მაგრამ ზმნაში მხოლოდ ერთი პირი გვექონდეს, ზმნა ერთპირიანი იყოს (ბავშვი ბურთს თამაშობს-ს: ზმნაში ერთი პირიღა ჩანს, სუბიექტისა)“; „გარდამავლობა-გარდაუვალობას მკვეთრად გამოსახული მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნები ახასიათებს“<sup>58</sup>; „სტატიკური ზმნა ყველა გარდაუვალია“<sup>60</sup>.

**პასუხობს, საყვედურობს, კარნახობს, პატაკობს** ზმნები, როგორც ზემოთ ითქვა, ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ერთპირიანი ნასახელარი ზმნებია. ზმნათა სემანტიკა განსაზღვრავს მათთან პირდაპირი ობიექტის ფუნქციით „მისი შინაარსობრივი ნაცვალის“ (პირდაპირი ან ირიბი ნათქვამის) დაკავშირებას. ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ასეთი შემთხვევებიც **პასუხობს** ტიპის ზმნათა ერთპირიანად გამოყენების

55 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 497.

56 ბ. ა. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975, გვ. 195.

57 ი ქ ვ ე, გვ. 195; იხ. ავრ. ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, პასუხობს და უპასუხებს: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1979, № 2, გვ. 120.

59 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში, II (ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში): ყურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1934, № 6—8, გვ. 42.

60 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქება, I, გვ. 052.

შემთხვევებად განვიხილოთ (ჩვენთვის მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ზმნურ ფორმებს არ უკავშირდება ირიბი ობიექტის გაგება).

ერთპირიანი პასუხობს, სხვა ბევრი ამგვარადვე ნაწარმოები ზმნის მსგავსად, მხოლოდ დრო-კილოთა აწმყოს წყებაში გვხვდება, გვაქვს პასუხობს, პასუხობდა, პასუხობდეს ფორმები (შდრ. შიშობს, ფასობს, მოწმობს და სხვ.). პასუხობს, როგორც ერთპირიანი ზმნა, ცხადია, მხოლოდ სუბიექტური პირების მიხედვით იცვლება.

რელატიური უპასუხებს, მისი მოცილე ჰპასუხობს და ერთპირიანი პასუხობს ზმნების მონაცემების მიხედვით აწმყო-მყოფადისათვის საყრდენი ფორმებია:

აწმყო	მყოფადი
უპასუხებს//ჰპასუხობს ის მას [მას]	უპასუხებს ის მას [მას]
პასუხობს ის	---

დრო-კილოთა II ჯგუფში გვექნება უპასუხა, უპასუხოს; დრო-კილოთა III ჯგუფში კი — უპასუხებია, ეპასუხებინა, ეპასუხებინოს.

უპასუხებს//ჰპასუხობს და პასუხობს ფორმათა გვერდით ენაში სახელურ-ზმნური შესიტყვებებიც გვხვდება, სახელდობრ: პასუხს აძლევს და პასუხს იძლევა. პასუხს აძლევს კონტექსტში უპასუხებს ზმნის შინაარსობრივი ეკვივალენტია, პასუხს იძლევა კი — პასუხობს ზმნისა.

ძველ ქართულში, გაცილებით ადრე, ვიდრე ორგანული წარმოების მქონე უპასუხებს ფორმა გავრცელდებოდა (ჩვენთვის ეს ფორმა აღორძინების ხანის მწერლობიდან არის ცნობილი), პასუხ-უგებს, პასუხს მიუგებს, პასუხი გასცა<sup>61</sup>, პასუხი მისცა სახელურ-ზმნური შესიტყვებები იხმარებოდა. კიდევ უფრო ადრე კი, როგორც ზევით ითქვა, უპასუხებს ზმნის მნიშვნელობით გამოიყენებოდა ენაში შესიტყვება სიტყუა-უგებს//სიტყუასა მიუგებს (პასუხ-უგებს//პასუხს მიუგებს სიტყუა-უგებს//სიტყუასა მიუგებს შესიტყვების ზუსტი სემანტიკური შესატყვისია). ეგვე მნიშვნელობა ჰქონდა მიუგებს ზმნას. მიუგებს ახალ ქართულშიც იხმარება, ოღონდ აწმყოს ფორმები არა აქვს (გამოიყენება მყოფადისა და დრო-კილოთა II და III ჯგუფის ფორმებით).

მოვიყვანოთ თანამედროვე ქართულში პასუხს აძლევს, პასუხს იძლევა ზმნურ შესიტყვებათა გამოყენების ნიმუშებს.

<sup>61</sup> პასუხს გასცემს თანამედროვე ქართულში საკადრისს მიუზღავს, შიგებს მნიშვნელობითაც იხმარება. გადატანითი მნიშვნელობა აქვს ასევე შესიტყვებას რა პასუხს აძლევს (როგორ გაიმართლებს თავს, რას იტყვის თავისი საქციელის, მოქმედების ასახსნელად, თავის გასამართლებლად. ქეგლ.).

მაგალითად:

გოგონას დედა პასუხს არავის აძლევდა (რ. ინან.). ელოც ყველას ერთად აძლევდა პასუხს (რ. ინან.). ... სინიორ ბიანკი ქალაქ ვარეზეს გამოიძახებდა თუ არა, ცენტრალური სადგურის ტელეფონისტი ქალები თურმე აღარავის პასუხს არ აძლევდნენ, იღვნენ და ბიანკის ზღაპრებს უგდებდნენ ყურს (გ. გოგ. თარგმ.). იგი არასოდეს გაძლევდა კითხვაზე პასუხს, მაგრამ განაგწითლება პასუხს არ ნიშნავს? (გ. ჩიშაკ. თარგმ.).

გწუხვარი, ვეძახი ჩემს სიყმაწვილეს, მაგრამ არავინ იძლევდა პასუხს (გ. ტაბ.). ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე: რომელი საათია, რომელი საათია? (გ. ტაბ.). მფრინავი ჩვენს მოკრძალებულ შეკითხვებზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლეოდა პასუხს თავისი ძნელი რეისის შესახებ (თ. თარხნ. თარგმ.). საწყალი ბლანში გაუნძრევლად იწვა, შეკითხვაზე პასუხს არ იძლეოდა (ანდ. ჰეიშ. თარგმ.).

შინაარსობრივად, ცხადია, არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ სტილისტიკური თვალსაზრისით მოყვანილი მაგალითები ბევრს დაკარგავდა პასუხს აძლევს, პასუხს იძლევა შესიტყვებათა ნაცვლად რომ უპასუხებს//პასუხობს ან პასუხობს ზმნური ფორმები გამოგვეყენებინა. აღარაფერს ვამბობთ ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს აშკარად უპირატესობა ენიჭებათ სათანადო ზმნურ ფორმებთან შედარებით<sup>62</sup>.

მაგალითად:

[იგი] სხვა ნაცნობებსაც ასევე დაწვრილებით და ზუსტად პასუხობდა (თ. ღვინ. თარგმ.). — მარტო თქვენ კი არა ხართ ჩემს ხაზზე! — ერთსა და იმავეს მპასუხობდა ტელეფონისტი ქალი (თ. ღვინ. თარგმ.).

აჯობებდა: იგი სხვა ნაცნობებსაც ასევე დაწვრილებით და ზუსტად პასუხს აძლევდა; ... ერთსა და იმავე პასუხს მაძლევდა ტელეფონისტი ქალი.

გაკვეთილი (და მნიშვნელობით მასთან გათანაბრებული სახელეები: საშინაო დავალება, ლექსი...), როგორც შემდეგ განვითარებული პირდაპირი დამატებები, რა თქმა უნდა, მხოლოდ უპასუხებს//პასუხობს ზმნებთან გვხვდება.

უსაყვედურებს//საყვედურობს

უსაყვედურებს//საყვედურობს ნიშნავს: საყვედურით მიმართავს, საყვედურს ეუბნება ვისმე (ქეგლ).

<sup>62</sup> მარტივი ზმნისა და სათანადო სახელურ-ზმნური შესიტყვების ურთიერთ-მიმართების შესახებ საერთოდ იხ. თ. ზურაბიშვილი, მომჭირნედ დასახარჯი სიმდიდრე: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1980, № 1, გვ. 91—107.

მაგალითად:

## უ სა ყ ვ ე დ უ რ ე ბ ს

არა, ახლა არც მსჯავრს ვდებთ და არც ვუსაყვედურებთ ამ სვევამწარე-  
ბულ მოხუცებს („კომ.“). პირველ ხანებში, როდესაც მდავასკარზე სამოგზაუროდ  
მივეშურებოდი, ყოველთვის ვუსაყვედურებდი ადვილობრივ მძღოლებს,  
რომ მათ გზაში თან წყალი არ მიჰქონდათ („კომ.“). [იგი] მწერალს უსაყვედუ-  
რებს... დალის რომ ქმარი ჰყავს, ეს რეზო ჰეიშვილსაც დაავიწყდა და ელგუჯასაცო  
 („ციცხარი“). არისტოტელე ცდებოდა, როცა... მელისოს უსაყვედურებდა,  
რომ მან არსის მარადიულად არსებობიდან შეცდომით დაასვენა არსის უსაზღვროე-  
ბაზე სივრცეში (ს. წერ.). შრაგინი თავის თავს უსაყვედურებდა, რომ მან  
დროულად ვერ ამოიცნო ახალგაზრდა (ი. იაშვი. თარგმ.). ერთი მწერალი სულ იმას  
მისაყვედურებს, ყველას ხატავ და მერა დაგიშავებო („კომ.“). პოეტიკრი-  
ტიკოსი დაინებით მისაყვედურებს: შ. ნიშნინიძეს დაკვირვებით რომ  
წაეკითხა... ჩვენი ნაწერები, მაშინ თავს არ დაგვესხმოლაო („ციცხარი“). იგი მისა-  
ყვედურებს: რატომ მოვიტხოვ ვერლიბრისაგან იმას, რაც მის „ჯიშს“ არ მო-  
ეთხოვება („ციცხარი“).

## ს ა ყ ვ ე დ უ რ ო ბ ს

რომ იცოდე, ახლა მე ჩემს თავსაც ვსაყვედურობ (ედ. ყიფ.). მას ღმერ-  
თებისადმი უდიერ მოპყრობას საყვედურობენ („ციცხარი“). ...შვილებს მო-  
ნატრებელი დედაბერი ღმერთს საყვედურობს, ის ერთნაირი, უდღეური მო-  
ლოდინი რაღად დაგვირღვიო („სოფლ. ცხოვრ.“). ისე დაცქერდებოდა, თითქოს  
რალაცას საყვედურობსო (ვ. ურჯ.). მეუღლე მე მსაყვედურობს:  
„... შენი ბრალია ასეთი საძაგელი ხასიათის რომ არისო“ („საქ. ქალი“). დამწვიდეს-  
დედავ. გვედრები, ნუ მსაყვედურობ (ი. მაჩაბ. თარგმ.). ჩემს სტიპენდიას  
ჩემი დიასახლისი იღებდა, თან სულ მსაყვედურობდა, რატომ ფრიადოსანო  
არა ხარო (ნ. დუმბ.). [ჩემი მეგობარი] სურათისკენ იყურება. იქ ჩემი სურათიცაა. მე  
მნატრობს, მე მსაყვედურობს დაგვიანებას (რ. ინან.). ხანდახან გიბრაზდებო  
კიდევ; ვსაყვედურობ: რატომ წახვედი ჩემგან, რატომ მიმაგდე, რატომ მიმა-  
ტოვე (ლ. თევზ. თარგმ.).

უსაყვედურებს//საყვედურობს ზმნა რეალურად ორ პირს შე-  
იწყობს — ერთია ის, ვინც საყვედურს ეუბნება ვისმე და მეორე, ვი-  
საც საყვედურს ეუბნებიან, ე. ი. სუბიექტური და ირიბობიექტური  
პირი. პირდაპირი ობიექტი, როგორც ჩანს, ე. წ. „შინაგანი ობიექტის“  
სახით ზმნის ფუძეში ივარაუდება. ესაა საყვედური, იგი კონტექსტში  
ხელახლა დასახელებას, ჩვეულებრივ, არ საჭიროებს. მაგ.: „საკითხა-  
ვია, რატომ საყვედურობს მთარგმნელებს კრიტიკოსი“ („ციც-  
ხარი“). „რატომ საყვედურობენ სახლმმართველობას?“ („თბი-  
ლისი“).

ხშირად მარტო საყვედურის თქმა საკმარისი არ არის და კონ-  
ტექსტში საჭირო ხდება დაზუსტება იმისა, თუ კონკრეტულად რა ივა-  
რაუდება ამ „საყვედურში“. შინაარსი საყვედურისა კონტექსტში შე-

ოდღეა წარმოდგენილი იყოს წინადადების (პირდაპირი ან ირიბი წინადადების), დამატებითი დამოკიდებული წინადადების ან ახლადგანვითარებული „გარეგანი“ პირდაპირი ობიექტის სახით.

მაგალითად:

— აბა, ბატონო, სადა ხართ? — უსაყვედურებდა სტუმარს. — ასე დავიწყება იქნება? (ე. მაღრ.).

თუ არაინ არაფერს დაწერს, მამ წერას რისთვის ასწავლიანო! — საყვედურობს ძინსწულს (ე. მაღრ.).

ჩვენს ნაკრებს ვუსაყვედურებთ, რომ მას არ ეხერხება სიტუაციის მიხედვით შეცვალოს ხოლმე თამაშის ტაქტიკური მონახაზი („კომ.“).

ჩემს უფლებად ვთვლიდი. მისგან ბევრი მომეთხოვა. ვსაყვედურობდი სიმხდალეს, ვეფიცებოდი, რომ მეტს ველარ მნახავდა, თუ ცოლად არ მითხოვდა („საქ. ქალი“).

... დაწვება ბნელაში და უცდის შეილებს. არასდროს არ საყვედურობს დაგვიანებას (ო. იოს.).

ჩვეულებრივად კი დინჯი, მშვიდი და ზედმეტად აუღელვებელი ვარ — ამას განსაკუთრებით ჩემი მეუღლე ლია მსაყვედურობს (თ. კილ.).

უთანდებულო მიცემითში დასმული სახელი, რომელიც პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებს, უსაყვედურებს//საყვედურობს ზმნასთან მყარი არ არის და მას ხშირად -ზე, -თვის და გამო თანდებულისა სახელი ცვლის.

მოვიყვანთ მაგალითებს:

— ნაწყენი ვარ.

— ჩემზე?

— შენზე... ტუჩები მობუზა, ხელები მკერდზე დაიწყო და გამომწვევად შემომხედა. მივხვდი, რაზეც მსაყვედურობდა (დ. კვიცი.).

მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთს გადახვდეთ, ნამდვილად ვერ მივხვდით, რაზე გვისაყვედურებდა ექიმი და გაოცებულები მივაჩერდით („სოფლ. ცხოვრ.“).

ბოლო წლებში ხშირად ვსაყვედურობდი კროსმენებს მოუშაღებლობისთვის („ლელო“).

მზერათა მთელი გუნდი მსაყვედურობს დუმილისათვის (თ. თარხნ. თარგმ.).

მიუხედავად იმისა, რომ ოთარაანთ ქვრივი მას მკაცრად საყვედურობდა სიზარმაცის გამო, მაინც ებრალებოდა მისი მშვიერ-ტიტველი ბავშვები („მაცნე“).

შემდეგ როდრიგო საყვედურობდა თავის თავს თანხმობის მიცემის გამო (დ. ხუჭ. თარგმ.).

-ზე, -თვის და გამო თანდებულისა სახელები უსაყვედურებს//საყვედურობს ზმნასთან ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ — მიზეზის გარემოებას გამოხატავენ. ამ ფუნქციით კი თანამედროვე ქართულში, როგორც ცნობილია, უპირატესობა გამო თანდებულისა სახე-

ლებს ენიჭება. მაგ.: **უსაყვედურებს//საყვედურობს** მოუმზადებლობის, დაგვიანების, უყურადღებობის, გულგრილობის... **გამო.**

**უსაყვედურებს//საყვედურობს** ზმნასთან სახელის გამოყენება მიზეზის გარემოების ფუნქციით თვით ამ ზმნის სემანტიკით არის გაპირობებული და, როგორც ჩანს, მას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამავე სახელების პირდაპირი ობიექტის ფუნქციით გამოყენებასთან შედარებით.

**უსაყვედურებს//საყვედურობს** ზმნურ ფორმათა პარალელური წარმოება გვაქვს აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში — ნამყო უსრულსა და აწმყოს კავშირებითში. მყოფადის წყებაში კი აწმყოს **უსაყვედურებს** ფორმის საზიარო **უსაყვედურებს, უსაყვედურებდა, უსაყვედურებდეს** ფორმები გვაქვს.

მაგალითად:

ბრეტის ორთოდოქსალური მიმდევრები, რასაკვირველია, მართლნი იქნებიან, თუ უსაყვედურებენ რევისორს ამ ცვლილებებს („**ბოილ.**“). ცოცხალი რომ იყო, ალბათ მის საყვედურებდი („**ლიტ. საქ.**“). ოლონდ ვერასოდეს ვერ გვიუსაყვედურებ, რჩევა-დარიგება რისთვის არ მომეცითო (ნ. ქად. თარგმ.).

ე. ი. აწმყოს **უსაყვედურებს//საყვედურობს** ზმნურ ფორმებს მყოფადში **უსაყვედურებს** ფორმა აქვს.

რელატიურ **უსაყვედურებს** და მის მოცილე **საყვედურობს** ფორმას აწმყოს წყებაში ერთპირიანი **საყვედურობს** უპირისპირდება. ქეგლ-ის მიხედვით ერთპირიანი **საყვედურობს** ნიშნავს: **საყვედურს ამბობს**. ეს არის **საყვედური**, რომელიც კონკრეტულად ვისიმე მიმართ კი არ არის ნათქვამი, არამედ საერთოდ, ზოგადად, უმისამართოდ ნათქვამი **საყვედურია**. კონტექსტში არ არის წარმოდგენილი ირიბი ობიექტი; ზმნა, როგორც აღვნიშნეთ, ერთპირიანია და სუბიექტური პირების მიხედვით იცვლება.

ერთპირიანი **საყვედურობს** თანამედროვე ქართულში სინონიმური მნიშვნელობის მქონე ჩივის („დაიჩივლა, [და]უჩივლია“) ზმნის ფუნქციით იხმარება. ქეგლ-ის მიხედვით ჩივის („დაიჩივლა, [და]უჩივლია“) ნიშნავს: **უკმაყოფილებას გამოთქვამს**. ჩივის ზმნას სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ: **საჩივარი შეაქვს** (სათანადო დაწესებულებაში, ოფიციალურ პირთან), ოლონდ ამ მნიშვნელობით ზმნა ნამყო ძირითადსა და I თურმეობითში **იჩივლა, უჩივლია** ფორმებს გამოიყენებს (**ქეგლ**). როგორც ჩანს, ამ ორი მნიშვნელობის აღრევის შიში განაპირობებს იმას, რომ ჩივის ზმნა **უკმაყოფილების გამოთქმის** მნიშვნელობით აწმყოს წყებაში თითქმის აღარ იხმარება, მას სინონიმური მნიშვნელობის მქონე **საყვედურობს** ზმნა ენაცვლება — **საყვედურობს** „შერბილებული“ ჩივილია. სხვათა შორის, ასეთი ჩანაცვლება

სათანადო შესიტყვებაშიც მოხდა. ნაცვლად გამოთქმისა უკმაყოფილებას გამოთქვამს (უპირატესობა სწორედ ამ გამოთქმას უნდა მიენიჭოს) პრესის ფურცლებზე საყვედურს გამოთქვამს გვხვდება.

მოვიყვანო ერთპირიანი საყვედურობს ზმნის გამოყენების ნიმუშებს:

ჩუჩჩულებდნენ, საყვედურობდნენ და არაეის აგონდებოდა, ანტონას ოციოდე ფუთი ღვინო რომ მაჭობაზე გამოსევს (ო. იოს.). რობერტინო საყვედურობდა ფესტივალის მომწყობთა ინტრიგებზე, იმაზე, რომ იტალიურ საზოგადოებას არ ესმის მისი („თბილ.“). ის ზშირად საყვედურობდა, რომ გამოქვეყნებული არ ჰქონდა არც ერთი მეცნიერული ნაშრომი, თუმცა 25 წელს გადააბიჯა (დ. ჭიქ.). ბებია, ალბათ, დამძებს, საყვედურობს, ჯავრობს (ო. იოს.). აღვილებზე იმასაც საყვედურობენ, რომ ტბორები არ არის კარგად ნაშენი („სოფლ. ცხოვრ.“). საყვედურობენ ვაჟა-ფშაველას პროსპექტის სხვა მცხოვრებნიც, მაგრამ არც მეორე კვარტალის 34-ე კორპუსში ცხელა („თბილ.“). თავიანთ კოლექტიურ განცხადებაში მშრომელები საყვედურობენ აგრეთვე, რომ ბიბლიოთეკა არ გვაქვსო („თბილ.“).

ერთპირიანი საყვედურობს მხოლოდ ნაკეთა აწმკოს წყებაში გვხვდება<sup>63</sup>.

ზემოთქმულის საფუძველზე უსაყვედურებს//საყვედურობს და ერთპირიან საყვედურობს ზმნათა მონაცემები აწმყო-მყოფადისათვის ასე წარმოგვიდგება:

აწმყო	მყოფადი
უსაყვედურებს//საყვედურობს	ის მას [მას] — უსაყვედურებს ის მას [მას]
საყვედურობს ის	—

ორგანული წარმოების მქონე უსაყვედურებს//საყვედურობს და საყვედურობს ფორმათა გვერდით საყვედურს ეუბნება, საყვედურით მიმართავს, საყვედურს ამბობს, საყვედურს გამოთქვამს (აჯობებდა:

<sup>63</sup> სხვათა შორის, ო. იოსელიანთან იჩივლა ზმნის ანალოგიით ნაწარმოებია ისაყვედურა შეგვხვდა. ეს ფორმა საყვედურობს ზმნას შეენაცვლა ნამყო ძირითადში. მაგ.: „მე უკვე მოკლე, შარვალს აღარ ვიცვამდი, როცა ერთ ზაფხულს ისევ გვეწვია ბებია. ის საყვედურა შეილებზე“ (ო. იოსელიანი, ვარსკვლავთცენა, თბ., 1965, გვ. 61).

საინტერესოა საყვედურ ფუძისაგან ნაწარმოები ი-საყვედურება, ე-საყვედურება და ა-საყვედურ-და, იშვიათად ხმარებული ვნებითური ფორმები. მაგ.: „საფრანგეთის პარლამენტში საჯაროდ ისაყვედურებია, რომ საფრანგეთი ვხმარება გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგო“ (ილია); „მაგრამ ვესაყვედურებოდი თავს, ასე საჩქაროდ რომ მივადრევი მისი სხეული“ („სომელი“); „ჩემი ცოლი მაინც მესაყვედურებდა...“ (ალ. სამს.) „სულ ერთია, წამომცდება! — ასაყვედურდა ხალიანა“ (ლ. გოთ.).



**უკმაყოფილებას გამოთქვამს)** სახელურ-ზმნური შესიტყვებები გვაქვს (სხვა შინაარსობრივი ნიუანსი უკავშირდება გამოთქმას **საყვედურს-უცხადებს**).

მაგალითად:

იძულებული ვარ... საყვედური გითხრათ (**გ. ფანჯ.**). მოხუცმა საყვედურით მიმართა მათ (**რ. გვებ.**). მისი გულისთვის ეხოცავდი მუხლუხებს... და მხოლოდ მას ვუსმენდი, როცა იგი საყვედურს მეუბნებოდა ან ტრაბახობდა (**გ. ჩიმაკ. თარგმ.**). ზემდეგი [მას] საყვედურს ეუბნებოდა გულმავიწყობისათვის (**კ. ლორთქ.**). დიდმის მასივის მეორე კვარტალში მცხოვრები ი. ნიკოლაიშვილი საყვედურს გამოთქვამდა, სასმელი წყალი არ გვეოფნისო (**„თბილ.“**). კოლმეურნეები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ისინი სკამო რაოდენობით არ იღებენ ახალ გაზეთებს (**„კომ.“**). საყვედური ითქვა კრიტიკის დარგში მომუშავე ამხანაგების მიმართაც (**„სახ. გან.“**).

### უკარნახებს//პარნახობს

ქართული ენისა და რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით ეს წმნა ორი მნიშვნელობით იხმარება: **1.** კარნახით აწერიანებს (ე. ი. რაიმე ტექსტს სიტყვა-სიტყვით, გარკვევით წარმოთქვამს იმ ვარაუდით, რომ სხვამ ჩაიწეროს); ჩუმიად, სხვისგან შეუმჩნეველად აწვდის ვისმე სათქმელს; ვისმე რაიმე ცნობას აწვდის. **2. გადატ.** ჩააგონებს (რისამე გაკეთებას), უბიძგებს; მიუთითებს, თუ როგორ მოიქცეს.

მაგალითად:

### უკარნახებს

**1.** იგი დინჯად დადიოდა დარბაზში და მერხზე მოხრილ ზაზა მდივანს უკარნახებდა (**ლ. გოთ.**). მარიამ-დედა თავის კარავში ნალ-ხალიჩაზე გაუხდელად იწვა და კახეთში მოსაწვევ სტუმართა სიას უკარნახებდა მდივანს (**ლ. გოთ.**). ამ მიზნით ისინი თვითონ უკარნახებდნენ ბავშვს და აიძულებდნენ სიცრუე დაეწერა (**„კომ.“**).

**2.** კეთილგონიერება უკარნახებდა ეს დაკარგული კეკლუცი ქალი ხელახლა დაბეჭო (**ბ. ქიქ. თარგმ.**). ადამიანები იმ პერიოდში ფიქრობდნენ, რომ მათ ყოველივეს ღმერთები უკარნახებდნენ (**ე. კოდ.**). შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობა იგივეს უკარნახებს, კვლავ ამ აზრთან აბრუნებს (**„ციხკარი“**). ... თქვა და იგრძნო, რომ გადააქარბა გულწრფელობაში. ასეთ რამეს სრულიადაც არ უკარნახებდა „ხელოვნება დუმილისა“ (**ლ. გოთ.**). გარემოება გვიკარნახებს ძველი შენობის აღებისა და ახალი თანამედროვე ვაგზლის აგების აუცილებლობას (**„სამშ.“**). რას ჩამჩურჩულებ, რას მიკარნახებ, კავკასიონო, რა გქნა, მითხარი (**გ. მარგვ. თარგმ.**). ... ჩემი მოქალაქეობრივი მდგომარეობა მიკარნახებს მოგწეროთ სიმართლე (**„სოფლ. ცხოვრ.“**). განა არ გვიკარნახებს ეს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან სწორი მუშაობა და ნაკრების კანდიდატების შერჩევა დიდ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს? (**„კომ.“**). ახლა ადვილია ბუბა და სხვადასხვა ვარიანტის წამოყენება მიწაზე. მაგრამ ექვსი ათას მეტრ სიმღ-

ლემე, ... როცა შუქსიგნალიზაცია და ბეერათსიგნალიზაცია დაბეჯითებით გიკარნახებენ დაუყოვნებლივ და მტკიცედ იმოქმედო, ფიქრისთვის მხოლოდ წამები დაარჩენილი („კომ.“). ხოლო ამ სიცოცხლური პრობლემის გადაჭრას ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც თვით ცხოვრება გვიკარნახებს, არის თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენება („ლელო“).

### ჰკარნახობს

1. მოლოდინითა და მარტოობის ფიქრით თვალმომლოდინებული დედაბერი ვინმე მეზობლის გოგოს კარნახობს წერილს („მნათ.“). ვის კარნახობდა [ს. ჩიქოვანი] თავის უკანასკნელ ლექსებს („პოეზ. დღე“). ვიქტორი მთელი კვირები შინ მტშობდა. ის მკარნახობდა, მე ვიწერდი („საბჭ. სამართ.“). ვწერ ისე, თითქოს ფიქრი მკარნახობს, ვწერ ისე, თითქოს ვილაც მკარნახობს (გ. შატბ.). რობერტი საერთოდ ნორმალურად მხოლოდ პირველ ფრაზას იტყვის ხოლმე. შემდეგ დაიწყებს სწრაფ ლაპარაკს, თითქოს დეპეშას კარნახობს (თ. ღვინ. თარგმ.).

ჩემი შვილი გაკვეთილებზე ამხანაგებს კარნახობს („სახ. გან.“). მე კი ჩემს მეგობარ ანტონს ვკარნახობდი ხოლმე (თ. ღვინ. თარგმ.).

2. ... ენა ზოგჯერ თვითონვე ჰკარნახობს შემოქმედს გამოსავალს — ახალ გზებს, ახალ აზრებს, ახალ სახეებს („ცისკარი“). ცხადია, მეფის გენერალს სიტუაცია კარნახობდა ასე მოქცეულიყო, თუმცა ვალის მოხდა უფრო მოკლედაც შეიძლებოდა (ე. მაღრ.). რაღაც შინაგანი გრძნობა ჰკარნახობდა მედეას შეხვედებით (გ. ფანჯ.) და ფიქრებს მკარნახობს ბუზლუნით პაწია მდინარე ოცნე (მ. ლებ.). უცებ მიგრიალდი და ჩაცმა დაეწყო. თითქოს ვილაც უჩინარი მკარნახობდა, როგორ უნდა მოგქცეულიყავი (თ. ჰილ.). ეს აუცილებლობა გვკარნახობს: მეტი ვიფიქროთ არა მარტო რეპეტიტორობის ფაქტზე, არამედ მიზეზებზე („ლიტ. საქ.“). მაგრამ ყველაფერს როდი ვაკეთებთ, რასაც ეს დადგენილებანი და კოდექსები გვკარნახობს („კომ.“). ... აღვივლებოდა გამოცდილებას ანგარიშს არ უწყევნ, რეგიონულ პირობებს არ ითვალისწინებენ და ისე გვკარნახობენ რა „რეკომენდაციებს“ („კომ.“). კაცი რომ ჩამოვივლიდა და ქუჩას გვეიხხავდა, მეგზურად გვეყვებოდით და ვაჩვენებდით. ამას გვკარნახობდა მთელი ვარემო და სული იმ კოლორიტული უბნებისა („ლიტ. საქ.“). პრობლემას გვკარნახობს სარედაქციო ფოსტა („ლელო“. რუბრ.). დღევანდელი დღე გვკარნახობს („სოფლ. ცხოვრ.“, სათ.). ზაფხულის დამაბული დღეები გვკარნახობს („სოფლ. ცხოვრ.“, სათ.).

მყოფადის წყებაში უკარნახებს ფორმა გვაქვს.

მაგალითად:

ცდისპირს უნდა დაესწავლა სიტყვათა გარკვეული ჯგუფები, რომელსაც ლაზორანტი უკარნახებდა („ლიტ. საქ.“).

— სიის დაწერას რა ჟურნალისტობა უნდა. — შეიშმუშნა თეიმურაზი და, ცოტა არ იყოს, უხერხულად მიუჭდა მაგიდას, საწერ-კალამი მოიმარჯვა და დაელოდა, რას უკარნახებდნენ („თბილ.“).

... გვამის ეგზოგონაცია ბეერ რამეს მოჰყენს ნათელს და გვიკარნახებს როგორ მოვიქცეთ შემდეგში („საბჭ. სამართ.“).

— რა ვქნა, ნაკაშიძე?

— რასაც საქმე და სინდისი გიკარნახებთ, ბატონო, ის ქენია (წ. ღუმბ.).

ასე რომ, აწმყოს წყებისათვის გვაქვს უკარნახებს//ჰკარნახობს პარალელური ფორმები, მყოფადისათვის კი — უკარნახებს.

უკარნახებს//ჰკარნახობს ზმნას სუბიექტისა და ირიბი ობიექტის გარდა (ე. ი. იმ პირის გარდა, ვისაც უკარნახებენ//ჰკარნახობენ), პირდაპირი ობიექტიც ეწყობა. უკარნახებს//ჰკარნახობს ზმნა უპასუხებს//ჰპასუხობს, უსაყვედურებს//საყვედურობს, უპატაკებს//ჰპატაკობს ზმნებთან შედარებით მეტ ტენდენციას ამჟღავნებს პირდაპირი ობიექტის გაჩენისა. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სახელი, მისი „შინაარსობრივი ნაცვალი“ პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სახით ან კიდევ დამატებითი დამოკიდებული წინადადება ამ ზმნასთან ჩვეულებრივია. (უფრო იშვიათია ისეთი კონტექსტები, როცა უკარნახებს//ჰკარნახობს ზმნასთან პირდაპირი ობიექტი არ ივარაუდება. მაგ., ასეთი წინადადება: „და უკვე არცთუ ისე ადვილია იმის გაგება, ვინ ვის ემორჩილება, ვინ ვის უკარნახებს, ვინ ვისზეა დამოკიდებული“. „თბილ.“). სამპირიანი ზმნის კონსტრუქციის უპასუხებს//ჰპასუხობს ტიპის ზმნათაგან ყველაზე მეტად სწორედ ეს ზმნა ირგებს. ეს შეიძლება იმიტაც იყოს გაპირობებული, რომ უკარნახებს ზმნას სათანადო სახელურ-ზმნური შესიტყვება ენაში არა აქვს და, ამდენად, ზმნის ფუძის საწარმოებლად აღებული სახელის პირდაპირ ობიექტად გააზრება ჭირს.

შეუძლებელი არ უნდა იყოს კარნახობს — ერთპირიანი ფორმის დამწევა ასეთი კონტექსტების მიხედვით:

თეატრში გაატარა მთელი ცხოვრება. იჭდა სუფლიორის ნიჟარასთან და კარნახობდა („ლიტ. გაზ.“). ...მამაჩემი სიტყვა „სალამს“ მაშინ ხმარობდა, როცა ჩემთვის საყვედურის თქმა უნდოდა: „ისევ სამიანი მოიტანე? სალამი!“ „გაკვეთილზე ისევ კარნახობდი? სალამი!“ (თ. ღვინ. თარგმ.).

ამ კონტექსტების მიხედვით ზმნით გამოხატული მოქმედება კონკრეტულ ობიექტს არ მიემართება — იგი განყენებულია ობიექტისაგან. ერთპირიან კარნახობს ზმნას მხოლოდ დრო-კილოთა აწმყოს წყების ფორმები აქვს.

ე. ი. უკარნახებს//ჰკარნახობს და ერთპირიანი კარნახობს ზმნური ფორმები აწმყო-მყოფადისათვის ასეთ სურათს გვიჩვენებს:

აწმყო	მყოფადი
უკარნახებს//ჰკარნახობს ის მას მას	უკარნახებს ის მას მას
კარნახობს ის	_____

## უპატაკებს//ჰპატაკობს

უპატაკებს ნიშნავს: პატაკს აძლევს, — მოახსენებს (ქეგლ). პატაკის ერთ-ერთი მნიშვნელობა იმავე ქეგლ-ის მიხედვით არის: მოხსენება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

ჰპატაკობს, როგორც უპატაკებს ზმნის მოცილე ფორმა, ენაში ბოლო დროს გავრცელდა. ამის გამო, ბუნებრივია, ქართული ენის განმარტებითა და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ეს ფორმა შეტანილი არ არის. უპატაკებს//ჰპატაკობს ფორმები უპირატესად პრესის ენაში, — საგაზეთო სათაურებსა და რუბრიკებში გამოიყენება.

მაგალითად:

უპატაკებს

ახალ გამარჯვებებს უპატაკებენ სამშობლოს საბჭოთა საქართველოს მშრომელები („კომ.“). ამ სამაისო დღეს, როცა დედაქალაქის მშენებლები თავიანთ მიღწევებს უპატაკებენ სამშობლოს, ... ჩვენც სიხარულით ვაუწყებთ ქვეყანას, თუ რა წვლილი შევიტანეთ ამ ლაშქრობაში („კომ.“). რესპუბლიკის მეჩაიეები უპატაკებენ სამშობლოს: არის რეკორდი! („კომ.“). სამშობლოს უპატაკებს ივანოვოს ოლქი („კომ.“).

უპატაკებენ სამშობლოს — ამ რუბრიკით გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ სისტემატურად იბეჭდება ცნობები რესპუბლიკის მშრომელთა შრომითი წარმატებების შესახებ.

ჰპატაკობს

... სამშობლოს ვპატაკობთ წლიური გეგმის შესრულებას („განთ.“ ვანი). ... ასე რომ, აფხაზთა და ქართველთა მეგობრობის ზეიმს ამაყად ვპატაკობთ... („ახ. კომ.“). ... საზეიმო კრებას ვპატაკობთ იმ წარმატებათა შესახებ... („ახ. კომ.“).

უპატაკებს//ჰპატაკობს ზმნა მყოფადის წყებაში უპატაკებს ფორმის საზიარო ფორმას გვიჩვენებს. მაგალითად:

... მკრეფაეები სიტყვას საქმედ აქცევენ — 27 დეკემბრისათვის უპატაკებენ სამშობლოს წლიური გეგმის შესრულებას („თბილ.“). სულ წელს სეზონის ბოლომდე ბრიადა სამშობლოს უპატაკებს 145 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას („ლენინის დროსა“). თუ ჯარისკაცებს სცემთ, პოლკის მეთაურს ვუპატაკებთ (პ. ბებ. თარგმ.).

უპატაკებს//ჰპატაკობს ზმნას სუბიექტისა და ირიბი ობიექტის გარდა შეიძლება პირდაპირი ობიექტის ფუნქციით მიცემითში დასმული სახელიც ეწყობოდეს, თუმცა იგი მყარი არ არის და თანდებულისანი სახელით იცვლება ხოლმე. მაგ.: „ახალ წარმატებებს უპატაკებენ სამშობლოს საბჭოთა საქართველოს მშრომელები“ („კომ.“), მაგრამ სხვაგან ასეც შეიძლება შეგვხვდეს: „ბზვანელი მშრომელები პატაკობენ პარტიას... მოპოვებულ წარმატებათა

„მძიმე დრო იყო, ყველგან სიკვდილი სდარაჯობდა ადამიანს“ (დ. ბაქრ.). თუმცა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ამ ფორმათა ფუნქციური დიფერენციაცია თანამედროვე ქართულში სავსებით ხელშესახებია: უღარაჯებს ფორმა მყოფადის გადმოსაცემად იხმარება უპირატესად, სღარაჯობს ფორმას კი აწმყოს გაგება აკისრია<sup>64</sup>.

ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებს უყარაულღებს//ჰყარაულღობს ზმნაც. ეს ზმნა თანამედროვე ქართულში იშვიათად იხმარება, უპირატესობა იმავე მნიშვნელობის მქონე უღარაჯებს//სღარაჯობს ზმნას ენიჭება.

რელატიურ ფორმათა გვერდით ენაში ერთპირიანი ღარაჯობს და ყარაულღობს (მნიშვნელობით ღარაჯია, ყარაულღია) ფორმებიც გვხვდება.

სღარაჯობს და ჰყარაულღობს ენაში გავრცელებული ფორმებია. საკითხი ამ ფორმათა მართებულობის შესახებ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არ ისმის — ეს ფორმები მართებულ ფორმებად არის მიჩნეული ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონების მიხედვით.

ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენთვის საინტერესო ზმნათა რელატიური და აბსოლუტური ფორმები აწმყო-მყოფადში გამოყენების თვალსაზრისით ასეთ სურათს გვაძლევს:

აწმყო	მყოფადი
უპასუხებს//პასუხობს ის მას [მას]	— უპასუხებს ის მას [მას]
პასუხობს ის	—
უსაყვედურებს//საყვედურობს ის მას [მას]	— უსაყვედურებს ის მას [მას]
საყვედურობს ის	—
უკარნახებს//კარნახობს ის მას მას	— უკარნახებს ის მას მას
კარნახობს ის	—
უპატაკებს//პატაკობს ის მას [მას]	— უპატაკებს ის მას [მას]
პატაკობს ის	—

აწმყოს ვითარებას იმეორებს ნამყო უსრული და აწმყოს კავშირებითი, მყოფადისას — ხოლმეობითი და მყოფადის კავშირებითი.

**ნამყო უსრ.:** უპასუხებდა//პასუხობდა, უსაყვედურებდა//საყვედურობდა, უკარნახებდა//კარნახობდა, უპატაკებდა//პატაკობდა.

ერთპირიანები: პასუხობდა, საყვედურობდა, კარნახობდა, პატაკობდა.

**აწმყ. კავშირებითი:** უპასუხებდეს//პასუხობდეს, უსაყვედურებ-

<sup>64</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 490; ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოება ქართულში: მაცნე, 1967, № 6, გვ. 224.

დეს//საყვედურობდეს, უკარნახებდეს//ჰკარნახობდეს, უპატაკებდეს//  
//ჰპატაკობდეს.

ერთობრიანები: პასუხობდეს, საყვედურობდეს, კარნახობდეს, პა-  
ტაკობდეს.

**ხოლმეობითი:** უპასუხებდა, უსაყვედურებდა, უკარნახებდა, უპა-  
ტაკებდა.

**მყოფ. კავშირებითი:** უპასუხებდეს, უსაყვედურებდეს, უკარნახებ-  
დეს, უპატაკებდეს.

დრო-კილოთა II ჯგუფი:

**ნამყო ძირითადი:** უპასუხა, უსაყვედურა, უკარნახა, უპატაკა.

**II კავშირებითი:** უპასუხოს, უსაყვედუროს, უკარნახოს, უპატაკოს.

დრო-კილოთა III ჯგუფი:

**I თურმეობითი:** უპასუხებია, უსაყვედურებია, უკარნახებია, უპა-  
ტაკებია (I თურმეობითის ფუძის ამგვარ წარმოებას უჭერს მხარს  
ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი).

**II თურმეობითი:** ეპასუხებინა, ესაყვედურებინა, ეკარნახებინა,  
ეპატაკებინა.

**III კავშირებითი:** ეპასუხებინოს, ესაყვედურებინოს, ეკარნახებინ-  
ოს, ეპატაკებინოს.

**უპასუხებს//ჰპასუხობს** ტიპის ზმნებს ირიბი ობიექტი ყოველთვის  
შეეწყობა. ეს პირი მორფოლოგიურად არის გამოხატული ზმნაში. მაგ.:  
მ-ი-პასუხებს, გ-ი-პასუხებს, უ-პასუხებს და მ-პასუხობს, გ-პასუხობს,  
ჰ-პასუხობს (შდრ.: მ-ი-თავაზებს, გ-ი-თავაზებს, უ-თავაზებს და მ-თა-  
ვაზობს, გ-თავაზობს, ს-თავაზობს ფორმები). პირდაპირი ობიექტი კი,  
რომელიც მას შემდეგ არის განვითარებული, რაც ზმნის ფუძედ გამო-  
ყენებული სახელის ამ (პირდაპირი ობიექტის) ფუნქციით გაგების შე-  
საძლებლობა დაიჩრდილა, ხან გვაქვს და ხან — არა.

**ჰპასუხობს, ჰკარნახობს, ჰპატაკობს** ზმნებს (სხვათა შორის, მსგავსი  
წარმოების მქონე სხვა ზმნებსაც) III პირში, ჩვეულებრივ, ირიბ-  
ობიექტური პირის ნიშნის გარეშე ხმარობენ. მართალია, ჰაესა და ხანის  
პოზიცია ამ ფუნქციით თანამედროვე ქართულში მყარი არ არის, მაგ-  
რამ სალიტერატურო ენის ნორმები გარკვეული თანხმონების წინ  
მათ ხმარებას უჭერს მხარს. თუ ენა საბოლოოდ აიღებს ხელს ამ ნიშ-  
ნებზე (რაც სათანადოდ აისახება კიდევ სალიტერატურო ენის ნორ-  
მებში), მაშინ **ჰპასუხობს** ტიპის ზმნათა საკითხი ისევე გადაწყდება,  
როგორც სხვა ზმნებისა — რელატიური და აბსოლუტური ფორმები  
ზმნისა ერთმანეთს დაემთხვევა (ომოფორმებს კონტექსტი განარჩევს).  
მანამდე კი პირის ნიშნები ისე უნდა ვიხმაროთ, როგორც ამას ნორმე-  
ბი ითვალისწინებს.

როგორც უკვე ითქვა, ქართულისათვის აწმყო-მყოფადში არც საზიარო უპასუხებს — უპასუხებს ტიპის წარმოებაა უცხო და არც შპასუხობს — უპასუხებს ტიპისა. ორივე წარმოებას გვერდით უდგას უღვლილების თვალსაზრისით კარგად ჩამოყალიბებული ჯგუფები მსგავსი ყალიბის მქონე ზმნებისა და, რაც მთავარია, არც უპასუხებს// //შპასუხობს ფორმათა აწმყოში მონაცვლეობა არის მოულოდნელი და უსაფუძვლო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისტორიულად უმასპინძლებს და უპასუხებს ტიპის ზმნები ერთ მოდელს ქმნიდა მორფოლოგიურ-სინტაქსური თვალსაზრისით.

**შპასუხობს, საყვედურობს, ჰკარნახობს, ჰპატაკობს** ფორმები, რომლებიც ენაში აწმყო-მყოფადის საზიარო ფორმათა გასამიჯნავად შეიქმნა, ახლა იკაფავს გზას სალიტერატურო ენაში. საერთო ენობრივი ტენდენცია საზიარო ფორმათა გარჩევასა და, შესაბამისად, ამ უკანასკნელ ფორმათა გავრცელებას უჭერს მხარს. მიუხედავად ამისა, სალიტერატურო ენა უპირატესობას ენაში დამკვიდრებულ უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს ფორმებს ანიჭებს.

წარმოდგენილი ილუსტრაციების მიხედვით მოცილე ფორმების გამოყენების თვალსაზრისით ერთნაირი სურათი არა გვაქვს. ცენტრალური პრესის ენაში (საილუსტრაციო მასალა ძირითადად ბოლო ათი წლის ჟურნალ-გაზეთებიდან არის ამოკრებილი), განსაკუთრებით კი საგაზეთო სათაურებსა და რუბრიკებში, როგორც წესი, უპასუხებს ფორმა გვხვდება (გამონაკლისს ამ მხრივ „ლიტერატურული საქართველო“ და რაიონული გაზეთები წარმოადგენენ). ძირითადად ეს ფორმა გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ენაშიც. ეს გასაგებიცაა. პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენა, რომლისთვისაც უცხო არ არის ერთგვარი ფრაზეოლოგიური შტამპები, უპასუხებს, გვიპასუხებს... ფორმებს ადვილად ეგუება.

თითქმის ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებს ცენტრალური გაზეთების სათაურებსა და რუბრიკებში გამოყენებული უპატაკებს ფორმა. **ჰკარნახობს, საყვედურობს** ფორმებთან შედარებით პრესის ენაში უპირატესობა ენიჭება **უკარნახებს, უსაყვედურებს** ფორმებსაც.

მხატვრული ლიტერატურის (იქნება ეს ორიგინალური თუ ნათარგმნი) ენა კი საპირისპირო სურათს გვიჩვენებს. თანამედროვე მწერლებისა და მთარგმნელების ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში უპირატესად **შპასუხობს, საყვედურობს, ჰკარნახობს** ფორმები გვხვდება. მიზეზი აქაც ნათელია: **უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს** ფორმებს სულ უფრო მეტად უკავშირდება სრული ასპექტის გაგება, სულ უფრო მეტად ეკედლება ეს ფორმები მყოფადის წყებას და ამის გამო სულ უფრო მეტად ჰირს მათი გამოყენება ჩვეულებრივ

მიმდინარე, დაუშთავრებელი მოქმედების გადმოსაცემად — მხატვრულ ნაწარმოებში ხომ ზმნური ფორმით გაცილებით უფრო ზუსტი და მრავალფეროვანი ღროული და ასპექტობრივი ნიუანსების გადმოცემა საჭირო, ვიდრე საგაზეთო სტატიისში.

ასე რომ, პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში მეტწილად უპასუხებს ტიპის ფორმები გვაქვს, მხატვრული ლიტერატურის ენაში კი სასწორო აშკარად ჰპასუხობს ტიპის ფორმათა მხარეს იხრება.

უპასუხებს, უკარნახებს, უპატაკებს ზმნებს სხვა ფორმა, საობიექტო ქცევის ფორმის გარდა, არა აქვთ. უ ფორმანტი, რომელსაც ირიბობიექტური პირის გავება შემოაქვს ზმნაში, კონტექსტში ამ პირის ფარდ სახელს ითხოვს ირიბი დამატების სახით. იმ პირის დასახელება კი, რომელსაც ზმნით გამოხატული მოქმედება მიემართება, კონტექსტით ყოველთვის საჭირო არ არის. ეს როგორც ზევით ითქვა, ზმნის ბუნებრივ სინტაქსურ კონსტრუქციასა და კონტექსტს შორის წინააღმდეგობას ქმნის. ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც მოცემული სიტუაციის მიხედვით მნიშვნელობა არა აქვს იმ პირის დასახელებას, ვისაც უპასუხებენ, უკარნახებენ, უპატაკებენ, უმჯობესია ერთპირიანი პასუხობს, კარნახობს, პატაკობს ფორმები ვიხმაროთ. ამ ფორმათა სალიტერატურო ენაში დასაშვებ ფორმებად მიჩნევა უპასუხებს, უკარნახებს, უპატაკებს ზმნათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ბევრ უხერხულობას აგვაცილებს თავიდან (შდრ. საყვედურობს ის და უსაყვედურობს ის მას [მას]). ის მნიშვნელობები, რომლებიც ამ ზმნებით შეიძლება გადმოიცეს, კარგად იგუებს ზოგადი აწყობის შინაარსს.